

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 5

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტი მიზნად ისახავს გასაყიდად გამიზნული აქტივების ბუღალტრული აღრიცხვის წესის განსაზღვრას და შეწყვეტილი ოპერაციების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას. კერძოდ, სტანდარტი მოითხოვს:
 - ა) აქტივები, რომელიც პასუხობს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა მათი კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული, უნდა ფასდებოდეს საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გაყიდვის დანახარჯების გამოკლების შემდეგ) შორის უმცირესი ღირებულებით; და
 - ბ) აქტივები, რომელიც პასუხობს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა მათი კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული, ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო შეწყვეტილი ოპერაციების შედეგები კი ცალკე – სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოქმედების სფერო

2. მოცემული სტანდარტის კლასიფიკაციისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესები ვრცელდება ყველა აღიარებულ გრძელვადიან აქტივზე¹ და საწარმოს ყველა გამსვლელ ჯგუფზე. სტანდარტის შეფასების მოთხოვნები ეხება ყველა აღიარებულ გრძელვადიან აქტივსა და გამსვლელ ჯგუფს (როგორც მე-4 პუნქტშია მოცემული), გარდა მე-5 პუნქტში ჩამოთვლილი აქტივებისა, რომელთა შეფასება გაგრძელდება ამ პუნქტში მითითებული სტანდარტის შესაბამისად.
3. ბასს 1-ის – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ – მიხედვით გრძელვადიან აქტივებად კლასიფიცირებული აქტივების კლასიფიკაციის შეცვლა *მოკლევადიანი აქტივებად* არ შეიძლება, სანამ ისინი არ დააკმაყოფილებს ამ სტანდარტის კრიტერიუმებს მათი კლასიფიცირებისათვის, როგორც გასაყიდად გამიზნული. აქტივების ჯგუფი, რომელსაც საწარმო, როგორც წესი, გრძელვადიან აქტივად განიხილავს და შექმნილია მხოლოდ და მხოლოდ ისევ გაყიდვის მიზნით, კლასიფიცირებული არ უნდა იყოს როგორც მიმდინარე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი პასუხობს წინამდებარე სტანდარტის კრიტერიუმებს, რომლის მიხედვით მათი კლასიფიცირება შეიძლება, როგორც გასაყიდად გამიზნული.
4. ზოგჯერ საწარმო ლიკვიდაციის პროცესში ერთი გარიგებით უშვებს მთლიანად აქტივების ჯგუფს, რომელსაც შესაძლოა თან ახლდეს პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებებიც. ასეთი გამსვლელი ჯგუფი შესაძლოა მთლიანად ან ნაწილობრივ შედგებოდეს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ან ერთეულებისაგან². ამ ჯგუფში შესაძლოა შედიოდეს საწარმოს ნებისმიერი აქტივი ან ვალდებულება, მათ შორის მოკლევადიანი აქტივები, მოკლევადიანი ვალდებულებები და ისეთი აქტივებიც, რომლებიც მოცემული სტანდარტის შეფასების მოთხოვნებიდან ამოღებულია მე-5 პუნქტის მიხედვით. თუ გრძელვადიანი აქტივი, რომელიც ამ სტანდარტის შეფასების მოთხოვნებს ექვემდებარება, გამსვლელი ჯგუფის ნაწილია, მაშინ

¹ იმ აქტივებისათვის, რომლებიც კლასიფიცირებული იყო ლიკვიდობის მიხედვით, გრძელვადიანი აქტივი ისეთი აქტივია, რომელიც მოიცავს თანხას, რომლის ამოღება მოხდება ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის შემდეგ. ასეთი აქტივების კლასიფიცირება მოცემულია მე-3 პუნქტში.

² თუმცა, თუ ამ აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადი უშუალოდ გაყიდვიდან გამომდინარეობს და არა გრძელვადიანი გამოყენებიდან, ისინი სხვა აქტივებიდან მისაღებ ფულად სახსრებზე ნაკლებად ხდება დამოკიდებული და გამსვლელი ჯგუფი, რომელიც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნაწილი იყო, ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი დამოუკიდებელი ერთეული.

სტანდარტის შეფასების წესები ვრცელდება მთლიანად გამსვლელ ჯგუფზე და ამიტომ ჯგუფის შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. გამსვლელ ჯგუფში შემავალი ინდივიდუალური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების წესები მოცემულია მე-18, მე-19 და 23-ე პუნქტებში.

5. წინამდებარე სტანდარტის შეფასების წესები³ არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც შედის ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მოქმედების სფეროში, როგორც ინდივიდუალური აქტივი ან გამსვლელი ჯგუფის ნაწილი:
- ა) გადავადებული საგადასახადო აქტივები (ბასს 12 – „მოგებიდან გადასახადები“);
 - ბ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებიდან წარმოქმნილი აქტივები (ბასს 19 – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“);
 - გ) ფინანსური აქტივები, რომლებიც განეკუთვნება ფასს 9-ის – „ფინანსური ინსტრუმენტები“ – მოქმედების სფეროს;
 - დ) გრძელვადიანი აქტივები, რომლის ბუღალტრული აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულების მოდელის მიხედვით, ბასს 40-ის – „საინვესტიციო ქონება“ – შესაბამისად;
 - ე) გრძელვადიანი აქტივები, რომლებიც შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, ბასს 41-ის – „სოფლის მეურნეობა“ – მიხედვით;
 - ვ) ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები სადაზღვევო ხელშეკრულებების ფარგლებში, როგორც ეს განსაზღვრულია ფასს 4-ში – „სადაზღვევო ხელშეკრულებები“.
- 5ა. წინამდებარე სტანდარტის კლასიფიკაციის, წარდგენისა და შეფასების მოთხოვნები, რომლებიც ეხება გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს), ასევე ეხება იმ გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს), რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასანაწილებელი მესაკუთრეებზე, რომლებიც მოქმედებენ აქციონერის სტატუსით.
- 5ბ. ამ სტანდარტში განსაზღვრულია მოთხოვნები განმარტებით შენიშვნებში გასამყდვენებელი ინფორმაციისთვის, რომელიც ეხება გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივებს (ან გამსვლელ ჯგუფს), ან შეწყვეტილ ოპერაციებს. ამგვარი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფის) მიმართ არ გამოიყენება სხვა სტანდარტების მოთხოვნები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სხვა სტანდარტები მოითხოვს:
- ა) სპეციფიკური ინფორმაციის გამყდვენებას გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფის), ან შეწყვეტილი ოპერაციების შესახებ; ან
 - ბ) განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამყდვენებას გამსვლელი ჯგუფის შემადგენელი ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების შესახებ, რომელსაც არ ეხება ფასს 5-ით გათვალისწინებული შეფასების მოთხოვნა და ამგვარი ინფორმაციის განმარტება უკვე მოცემული არ არის ფინანსური ანგარიშგების სხვა შენიშვნებში.
- ბასს 1-ის საერთო მოთხოვნებთან, კერძოდ, მე-15 და 125-ე პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად შეიძლება აუცილებელი იყოს დამატებით სხვა ინფორმაციის გამყდვენებაც გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფის), ან შეწყვეტილი ოპერაციების შესახებ.

³ გარდა მე-18 და მე-19 პუნქტებისა, რომლებიც მოითხოვს განსახილველი აქტივების შეფასებას სხვა სათანადო სტანდარტის შესაბამისად.

კლასიფიკაცია – გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები (ან გამსვლელი ჯგუფები)

6. საწარმო გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) მიანიჭებს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციას, თუ მისი საბალანსო ღირებულება ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით.
7. ამისათვის, შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) დაუყოვნებელი გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში, მხოლოდ ასეთი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით და მისი გაყიდვა დიდი ალბათობით მოსალოდნელი უნდა იყოს.
8. იმისათვის, რომ გაყიდვა მაღალი ალბათობით იყოს მოსალოდნელი, ხელმძღვანელობის შესაბამისი დონე აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმას მხარს უნდა უჭერდეს და შემუშავებული უნდა იყოს მყიდველის მოძებნისა და გეგმის ბოლომდე მიყვანის აქტიური პროგრამა. ამასთან, უნდა მოხდეს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) აქტიურ გაყიდვაზე მიმართული მარკეტინგი, იმ ფასად, რომელიც შეესაბამება მის მიმდინარე რეალურ ღირებულებას. გარდა ამისა, ამ გაყიდვის აღიარება დასრულებულ გაყიდვად შესაძლებელი უნდა იყოს კლასიფიცირების დღიდან ერთი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც დაშვებულია მე-9 პუნქტში, ხოლო გეგმის დასრულებისათვის საჭირო ღონისძიებები იმის დასტურს უნდა იძლეოდეს, რომ გეგმის მნიშვნელოვანი ცვლილება ან გეგმის გაუქმება მოსალოდნელი არ არის. აქციონერთა მიერ ამ გეგმის დამტკიცების ალბათობა (თუ მოითხოვება მოცემული იურისდიქციით) უნდა განიხილებოდეს ხელმძღვანელობის მიერ გასაკეთებელი იმ შეფასების ნაწილად, არის თუ არა გაყიდვა მაღალი ალბათობით მოსალოდნელი.
- 8ა. თუ საწარმოს გაყიდვის გეგმა ითვალისწინებს შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვას, მან შვილობილი საწარმოს ყველა აქტივსა და ვალდებულებას უნდა მიანიჭოს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაცია, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება 6-8 პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმები, იმის მიუხედავად, საწარმო შეინარჩუნებს თუ არა მაკონტროლებელ წილს ყოფილ შვილობილ საწარმოში გაყიდვის შემდეგ.
9. მოვლენებმა ან გარემომ შესაძლოა განაპირობოს გაყიდვის პერიოდის ერთ წელზე მეტხანს გაგრძელება. გაყიდვის დასრულებისათვის საჭირო პერიოდის გაგრძელება ხელს არ უშლის აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებას, თუ დაგვიანება გამოწვეული იყო ისეთი მოვლენებით ან გარემოებებით, რომლებიც საწარმოს კონტროლის ფარგლებს სცილდებოდა და არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ საწარმო კვლავაც მხარს უჭერს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დანართ „ბ“-ში მოცემული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.
10. გაყიდვის გარიგება მოიცავს ერთი გრძელვადიანი აქტივის მეორეზე გაცვლას, როდესაც გაცვლას ბასს-16-ის – „ძირითადი საშუალებები“ – მიხედვით კომერციული შინაარსი აქვს.
11. როდესაც საწარმო იძენს გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით, გრძელვადიან აქტივს შეძენის დღესვე მხოლოდ მაშინ უნდა მიენიჭოს კლასიფიკაცია – გასაყიდად გამიზნული, თუ მე-8 პუნქტში მოცემული ერთი წლის პირობა შესრულებულია (მე-9 პუნქტით დაშვებული შემთხვევების გარდა) და მაღალი ალბათობით მოსალოდნელია, რომ მე-7 და მე-8 პუნქტებში მოცემული სხვა კრიტერიუმები, რომლებიც დაკმაყოფილებული არ არის იმ დღეს, დაკმაყოფილდება შეძენის მომენტიდან უმოკლეს ვადაში (ჩვეულებრივ სამ თვეში).
12. თუ მე-7 და მე-8 პუნქტებში მოცემული კრიტერიუმები დაკმაყოფილდა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს არ უნდა მოახდინოს გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული. თუმცა, როდესაც ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე, საწარმო 41 (ა), (ბ) და (დ) პუნქტში განსაზღვრულ ინფორმაციას გაამჟღავნებს შენიშვნების სახით.

- 12ა. გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) მაშინ კლასიფიცირდება როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებელი, როდესაც საწარმო იღებს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) მესაკუთრეებზე განაწილების ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში, აქტივები ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაუყოვნებლივ განაწილებისთვის მის არსებულ მდგომარეობაში და განაწილება მაღალი ალბათობით უნდა იყოს მოსალოდნელი. განაწილება მაღალი ალბათობით არის მოსალოდნელი, თუ განაწილების განსახორციელებლად საწყისი ნაბიჯები გადადგმულია და განაწილების დამთავრება მოსალოდნელია კლასიფიკაციის მინიჭების თარიღიდან ერთი წლის ფარგლებში. განაწილების განსახორციელებლად საჭირო ქმედებები იმაზე უნდა უნდა მიუთითებდეს, რომ მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი ცვლილებები განაწილებაში, ან განაწილების გაუქმება. აქციონერთა მიერ განაწილების დამტკიცების ალბათობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმის დადგენისას, განაწილება არის თუ არა მოსალოდნელი მაღალი ალბათობით.

გასაუქმებელი გრძელვადიანი აქტივები

13. საწარმომ არ უნდა მოახდინოს გასაუქმებელი გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული. ამის მიზეზია ის, რომ მისი ძირითადი ღირებულების ამოღება, უმთავრესად, გრძელვადიანი მოხმარებიდან იქნება შესაძლებელი. თუმცა, თუ გასაუქმებელი გამსვლელი ჯგუფი 32 (ა)-(გ) პუნქტის კრიტერიუმებს პასუხობს, საწარმომ შედეგები და გამსვლელი ჯგუფის ფულადი ნაკადები უნდა წარადგინოს, როგორც შეწყვეტილი ოპერაციები 33-ე და 34-ე პუნქტების მიხედვით, იმ თარიღიდან, როდესაც მისი გამოყენება შეწყდა. გასაუქმებელი გრძელვადიანი აქტივები (ან გამსვლელი ჯგუფები) მოიცავს გრძელვადიან აქტივებს (ან გამსვლელ ჯგუფებს), რომელიც გამოყენებული იქნება მათი ეკონომიკური მომსახურების ვადის ბოლომდე და გრძელვადიან აქტივებს (ან გამსვლელ ჯგუფებს), რომელიც დაიხურება და არ გაიყიდება.
14. ისეთი გრძელვადიანი აქტივები, რომლებიც დროებით იყო ამოღებული გამოყენებიდან, საწარმომ არ უნდა აღრიცხოს როგორც გაუქმებული.

გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) შეფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული

გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) შეფასება

15. საწარმო გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) შეფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.
- 15ა. საწარმო გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს), რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებელი, შეფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და განაწილებისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.⁴
16. თუ ახლად შეძენილი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) პასუხობს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს (იხ. პუნქტი 11), მე-15 პუნქტის გამოყენება გამოიწვევს თავდაპირველი აღიარების დროს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) შეფასებას უმცირესი ღირებულებით, მის საბალანსო ღირებულებასა (რომელიც ექნებოდა, თუ ასეთი კლასიფიცირება არ მოხდებოდა (მაგალითად, თვითღირებულება) და რეალურ ღირებულებას (გაყიდვის დანახარჯების გამოკლების შემდეგ) შორის. ამგვარად, თუ აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) შეძენილი იყო როგორც საწარმოთა გაერთიანების ნაწილი, იგი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით.
17. როდესაც გაყიდვა მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, საწარმო გაყიდვის დანახარჯებს შეფასებს დღევანდელი ღირებულებით. ნებისმიერი ზრდა გაყიდვის დანახარჯების დღევანდელ

4. განაწილებისთვის საჭირო დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის განაწილებასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგების გადასახადის გამოკლებით.

ღირებულებაში, რომელიც გამოწვეულია დროის ფაქტორით, წარდგენილი იქნება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში როგორც ფინანსური დანახარჯი.

18. უშუალოდ იმის წინ, სანამ აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) თავდაპირველად კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული, აქტივის (ან ჯგუფის ყველა აქტივისა და ვალდებულების) საბალანსო ღირებულება უნდა შეფასდეს შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.
19. გამსვლელი ჯგუფის შემდგომი გადაფასებისას, იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომელიც არ შედის ამ სტანდარტის შეფასების მოთხოვნების ფარგლებში, მაგრამ შესული იყო გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებული იყო, როგორც გასაყიდად გამიზნული, ხელახლა უნდა შეფასდეს შესაბამისი სტანდარტის მიხედვით მანამ, სანამ გამსვლელი ჯგუფის რეალური ღირებულება (გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით) ხელახლა შეფასდება.

გაუფასურების ზარალისა და მისი ანულირების აღიარება

20. საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) ყოველი თავდაპირველი ან შემდგომი ჩამოწერის დროს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებამდე, იმ მოცულობით, რომელიც აღიარებული არ იყო მე-19 პუნქტის მიხედვით.
21. აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების შემდგომი ზრდის შედეგად საწარმომ უნდა აღიაროს შემოსულობა, მაგრამ არა უმეტეს ჯამური გაუფასურების ზარალისა, რომელიც აღიარებული იყო ან ამ სტანდარტის შესაბამისად, ან ადრე ბასს 36-ის – „*აქტივების გაუფასურება*“ - მიხედვით.
22. გამსვლელი ჯგუფის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ნებისმიერი ზრდის შემთხვევაში, საწარმომ უნდა აღიაროს შემოსულობა, ამ სტანდარტის შეფასების მოთხოვნების ფარგლებში მყოფი გრძელვადიანი აქტივებისათვის:
 - ა) იმ მოცულობით, რაც აღიარებული არ იყო მე-19 პუნქტის მიხედვით, მაგრამ
 - ბ) არა უმეტეს ჯამური გაუფასურების ზარალისა, რომელიც უკვე იყო აღიარებული ან ამ სტანდარტის მიხედვით, ან ბასს 36-ის მიხედვით.
23. გაუფასურების ზარალი (ან შემდგომი შემოსულობა), რომელიც აღიარებული იყო გამსვლელი ჯგუფისათვის, შეამცირებს (ან გაზრდის) ჯგუფში შემავალი იმ გრძელვადიანი აქტივის საბალანსო ღირებულებას, რომელიც წინამდებარე სტანდარტის შეფასების მოთხოვნების ფარგლებშია, ბასს 36-ის (გადასინჯული 2004 წელს) 104-ე (ა) და (ბ) პუნქტისა და 122-ე პუნქტის გამოყენებით.
24. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც ადრე არ იყო აღიარებული გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის დღისათვის, უნდა აღიარდეს აღიარების შეწყვეტის დღეს. აღიარების შეწყვეტისთან დაკავშირებული მოთხოვნები მოცემულია:
 - ა) ბასს 16-ის (გადასინჯული 2003 წელს) 67-72-ე პუნქტებში, რომელიც ეხება ძირითად საშუალებებს, და
 - ბ) ბასს 38-ის – „*არამატერიალური აქტივები*“ (გადასინჯული 2004 წელს), 112-117-ე პუნქტებში, რომელიც ეხება არამატერიალურ აქტივებს.
25. საწარმო ცვეთას არ დაარიცხავს გრძელვადიან აქტივს, სანამ იგი კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან სანამ იგი გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის ნაწილია. პროცენტისა და სხვა ხარჯების აღიარება, რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის ვალდებულებებს, უნდა გაგრძელდეს.

გაყიდვის გეგმის ან მესაკუთრეებზე განაწილების გეგმის შეცვლა

26. თუ საწარმოს აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) კლასიფიცირებული აქვს, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული, მაგრამ მე-7-9 პუნქტებში მითითებული კრიტერიუმები (გასაყიდად გამიზნული კატეგორიის), ან 12ა პუნქტში აღწერილი კრიტერიუმები (მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული კატეგორიის) უკვე აღარ არის დაკმაყოფილებული, საწარმომ უნდა შეწყვიტოს აქტივის (გამსვლელი ჯგუფის) კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად

გამიზნული (შესაბამისად). ასეთ შემთხვევაში, საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილების აღრიცხვისას, უნდა იხელმძღვანელოს 27-29-ე პუნქტებში განსაზღვრული სახელმძღვანელო მითითებებით.

- 26ა. თუ საწარმო ახდენს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) რეკლასიფიკაციას „გასაყიდად გამიზნული“ კატეგორიიდან კატეგორიაში „მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული“, მან კლასიფიკაციის შეცვლა უნდა მიიჩნიოს გაყიდვის თავდაპირველი გეგმის გაგრძელებად. საწარმომ:
- ა) ამ ცვლილების აღრიცხვისას არ უნდა იხელმძღვანელოს 27-29-ე პუნქტების მითითებებით. საწარმომ უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის კლასიფიკაციის, წარდგენისა და შეფასების მოთხოვნები, რომლებიც ეხება გასვლის ახალ მეთოდს;
 - ბ) ეს გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) უნდა შეაფასოს მე-15 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (თუ რეკლასიფიკაცია ხდება კატეგორიაში „გასაყიდად გამიზნული“), ან 15ა პუნქტის მიხედვით (თუ რეკლასიფიკაცია ხდება კატეგორიაში „მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული“) და გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების/ მესაკუთრეებზე განაწილების დანახარჯების შემცირება ან ზრდა აღიაროს 20-25-ე პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად;
 - გ) არ უნდა შეცვალოს კლასიფიკაციის თარიღი მე-8 და 12ა პუნქტების მიხედვით. ეს მოთხოვნა ხელს არ უშლის იმ პერიოდის გახანგრძლივებას, რომელიც აუცილებელია გაყიდვის ან მესაკუთრეებზე განაწილების ოპერაციის დასრულებისთვის, თუ დაკმაყოფილებულია მე-9 პუნქტის პირობები.
27. გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი), რომელსაც შეუწყდა კლასიფიკაცია, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული (ან გამოირიცხა გამსვლელი ჯგუფის შემადგენლობიდან, რომელიც კლასიფიცირებული იყო, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული), საწარმომ უნდა შეაფასოს შემდეგ ორ სიდიდეს შორის უმცირესით:
- ა) საბალანსო ღირებულება, სანამ აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) კლასიფიცირებული იქნებოდა, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული, რომელსაც გამოაკლდება ცვეთა, ამორტიზაცია ან გადაფასება, რომელიც აღიარებული იქნებოდა, თუ აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) კლასიფიცირებული არ იქნებოდა, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული; და
 - ბ) ანაზღაურებადი ღირებულება იმ თარიღისთვის, როდესაც შემდგომში საწარმომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ გაყიდდა ან არ გაანაწილებდა მას⁵.
28. საწარმომ გრძელვადიანი აქტივის (რომელიც აღარ არის კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული) საბალანსო ღირებულების ნებისმიერი სავალდებულო კორექტირების თანხა უნდა დაუმატოს განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას ან ზარალს⁶ იმ პერიოდში, როდესაც მე-7-9, ან 12ა პუნქტების კრიტერიუმები, შესაბამისად, აღარ არის დაკმაყოფილებული. შესაბამისად უნდა დაკორექტირდეს ყველა მომდევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოჰყვება იმ პერიოდს, როდესაც საწარმომ განახორციელა კლასიფიკაცია, როგორც გასაყიდად გამიზნული, ან როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული, თუ გამსვლელი ჯგუფი, ან

⁵. თუ გრძელვადიანი აქტივი არის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნაწილი, მისი ანაზღაურებადი ღირებულება ტოლია მისი საბალანსო ღირებულების, რომლის აღიარება მოხდებოდა ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის გადანაწილების შემდეგ, ბასს 36 –ის შესაბამისად.

⁶. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი წარმოადგენს ძირითად საშუალებას ან არამატერიალურ აქტივს, რომელიც გადაფასებული იყო ბასს 16-ის ან ბასს 38-ის შესაბამისად მანამ, სანამ მიენიჭებოდა კლასიფიკაცია გასაყიდად გამიზნული. ასეთ შემთხვევაში ცვლილება უნდა აისახოს, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა ან შემცირება.

გრძელვადიანი აქტივი, რომელიც აღარ კლასიფიცირდება გასაყიდად გამიზნულად, ან მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნულად არის შვილობილი საწარმო, ერთობლივი ოპერაცია, ერთობლივი საწარმო, მეკავშირე საწარმო, ან ერთობლივ, ან მეკავშირე საწარმოში ფლობილი წილის ნაწილი. საწარმომ კორექტირების თანხა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს იმავე სათაურით, რომელიც გამოიყენება 37-ე პუნქტის მიხედვით აღიარებული შემოსულობის ან ზარალის წარსადგენად, თუ ასეთი იყო.

29. თუ საწარმო ცალკეულ აქტივს ან ვალდებულებას ამოიღებს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული ჯგუფიდან, გამსვლელ ჯგუფში დარჩენილი გასაყიდი აქტივები და ვალდებულებები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეფასდება კვლავ როგორც ჯგუფი, თუ ჯგუფი აკმაყოფილებს მე-7-9 პუნქტების კრიტერიუმებს. თუ საწარმო ცალკეულ აქტივს ან ვალდებულებას ამოიღებს გამსვლელი ჯგუფიდან, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული, გამსვლელ ჯგუფში დარჩენილი აქტივები და ვალდებულებები იმ შემთხვევაში შეფასდება კვლავ როგორც ჯგუფი, თუ ჯგუფი აკმაყოფილებს 12ა პუნქტში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს. ამის საპირისპიროდ, ჯგუფის დარჩენილი გრძელვადიანი აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად აკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულად (ან მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნულად) კლასიფიცირების კრიტერიუმებს, უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, მათ საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალური ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, ამ თარიღისთვის. 26-ე პუნქტის შესაბამისად, უნდა შეწყდეს ნებისმიერი გრძელვადიანი აქტივის კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული, რომელიც აღარ აკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს. 26-ე პუნქტის შესაბამისად, ასევე უნდა შეწყდეს ნებისმიერი გრძელვადიანი აქტივის კლასიფიცირება, როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნული, რომელიც აღარ აკმაყოფილებს მესაკუთრეებზე გასანაწილებლად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს.

წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

30. საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეწყვეტილი ოპერაციებისა და გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) გასვლის ფინანსური შედეგების შეფასების საშუალებას მისცემს.

შეწყვეტილი ოპერაციების წარდგენა

31. საწარმოს კომპონენტი მოიცავს ისეთ ოპერაციებსა და ფულად ნაკადებს, რომელთა ნათლად გამოიჯენა, ოპერაციულად და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, შესაძლებელია საწარმოს დანარჩენი ნაწილისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საწარმოს კომპონენტი გამოყენების პერიოდში უნდა ყოფილიყო ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი.
32. შეწყვეტილი ოპერაცია არის საწარმოს კომპონენტი, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და:
- ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
 - ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
 - გ) არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შექმნილი შვილობილი საწარმო.
33. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს:
- ა) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ერთიანი თანხა, რომელიც შედგება შემდეგი სიდიდეების ჯამისაგან:
 - (i) შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი დაბეგვრის შემდეგ; და
 - (ii) დაბეგვრის შემდგომი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით,

ან შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენელი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფ(ებ)ის გასვლასთან დაკავშირებით; და

- ბ) (ა) პუნქტით განსაზღვრული მთლიანი თანხის ანალიზი, შემდეგი ელემენტების მიხედვით:
- (i) შეწყვეტილი ოპერაციებიდან გამომდინარე ამონაგები, ხარჯები და დაბეგრამდელი მოგება ან ზარალი;
 - (ii) შესაბამისი მოგებიდან გადასახადის ხარჯი ბასს 12-ის 81(თ) პუნქტის მიხედვით;
 - (iii) შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების შეფასებასთან, ან შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენელი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფ(ებ)ის გასვლასთან დაკავშირებით;
 - (iv) შესაბამისი მოგებიდან გადასახადის ხარჯი ბასს 12-ის 81(თ) პუნქტის მიხედვით.

ანალიზის წარდგენა შეიძლება შენიშვნებში ან სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ სრული შემოსავლის ანგარიშგებაშია წარდგენილი, უნდა აისახოს შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებულ ნაწილში, ანუ განგრძობითი ოპერაციებისაგან განცალკევებით. გამსვლელი ჯგუფები, რომლებიც წარმოდგენილია ახლად შეძენილი შვილობილი საწარმოებით და პასუხობს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვით მისი კლასიფიცირება შეძენისთანავე მოხდება როგორც გასაყიდად გამიზნული (იხ. მე-11 პუნქტი), ანალიზს არ საჭიროებს;

გ) წმინდა ფულადი ნაკადები, რომელიც განეკუთვნება შეწყვეტილი ოპერაციებიდან გამომდინარე საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობას. ეს ინფორმაცია შეიძლება აისახოს ან შენიშვნებში, ან უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში. გამსვლელი ჯგუფები, რომელიც წარმოდგენილია ახლად შეძენილი შვილობილი საწარმოებით, რომლებიც პასუხობს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვით მისი კლასიფიცირება შეძენისთანავე მოხდება როგორც გასაყიდად გამიზნული (იხ. მე-11 პუნქტი), ამგვარი ინფორმაციის ახსნას არ საჭიროებს.

დ) მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი შემოსავალი, რომელიც მიიღება განგრძობითი ოპერაციებიდან და შეწყვეტილი ოპერაციებიდან. ეს ინფორმაცია შეიძლება აისახოს ან შენიშვნებში, ან უშუალოდ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

33ა. თუ საწარმო მოგებისა და ზარალის ელემენტებს წარადგენს განცალკევებულ ანგარიშგებაში, როგორც აღწერილია ბასს 1-ის (შესწორებული 2011 წელს) 10ა პუნქტში, მან ამავე ანგარიშგებაში უნდა წარმოადგინოს განყოფილება, რომელსაც ეწოდება შეწყვეტილი ოპერაციები.

34. საწარმომ ხელახლა უნდა წარმოადგინოს 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომლებიც მოცემული იყო წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებში ისე, რომ მოიცვას საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებამდე შეწყვეტილი ყველა ოპერაცია, რომელიც შეეხება წარდგენის უკანასკნელ პერიოდს.

35. მიმდინარე პერიოდში მომხდარი ცვლილებები იმ თანხებში, რომელიც ადრე წარდგენილი იყო შეწყვეტილ ოპერაციებში და პირდაპირ კავშირშია შეწყვეტილი ოპერაციის გასვლასთან წინა პერიოდში, ცალკე უნდა იყოს კლასიფიცირებული შეწყვეტილ ოპერაციებში; უნდა განიმარტოს ცვლილებების ბუნება და მოცულობა. გარემოებების მაგალითები, როდესაც შესაძლებელია ასეთი ცვლილებების წარმოქმნა:

- ა) შეწყვეტილი ოპერაციის გადაცემის გარიგების პირობებიდან წარმოშობილი გაურკვევლობების გადაწყვეტა, როგორცაა შესყიდვის ფასის ცვლილებებისა და მყიდველთან ზარალის კომპენსირების საკითხების გადაწყვეტა;
- ბ) გაურკვევლობების გადაწყვეტა, რომელიც გამომდინარეობს და პირდაპირ დაკავშირებულია კომპონენტის ოპერაციებთან მის გადაცემამდე, როგორცაა გარემოს დაცვისა და პროდუქციის გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელიც გამყიდველის პასუხისმგებლობის ქვეშ რჩება;
- გ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულება, იმ პირობით, რომ ეს აღსრულება უშუალოდ დაკავშირებული იყო გადაცემის გარიგებასთან.

36. თუ საწარმო წყვეტს კომპონენტის კლასიფიცირებას, როგორც გასაყიდად გამიზნული, შეიცვლება ადრე 33-35-ე პუნქტების მიხედვით შეწყვეტილ ოპერაციებში წარდგენილი კომპონენტის ოპერაციების შედეგების კლასიფიკაცია და ჩაირთვება განგრძობითი ოპერაციებიდან წარმოქმნილ მოგებაში, ყველა წარდგენილ პერიოდში. წინა პერიოდებში შესული თანხების შესახებ მიცემული იქნება განმარტება, რომ თანხები ხელახლა იყოს წარმოდგენილი.
- 36ა. საწარმომ, რომლის გაყიდვის გეგმა შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვას ითვალისწინებს, უნდა გაამჟღავნოს 33-36 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია, როდესაც შვილობილი საწარმო წარმოადგენს გამსვლელ ჯგუფს, რომელიც აკმაყოფილებს შეწყვეტილი ოპერაციის განმარტებას 32-ე პუნქტის შესაბამისად.

განგრძობით ოპერაციებთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი

37. გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) ხელახალი შეფასებიდან გამომდინარე, ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც არ პასუხობს შეწყვეტილი ოპერაციის განმარტებას, აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც განგრძობითი ოპერაციების მოგება ან ზარალი.

გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივის ან გამსვლელი ჯგუფის წარდგენა

38. საწარმომ გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივი ან გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა აქტივებისაგან განცალკევებულად უნდა წარადგინოს. სხვა ვალდებულებებისაგან განცალკევებით უნდა იყოს წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის ვალდებულებებიც. არ შეიძლება ამ აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ერთი თანხის სახით წარდგენა. გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი კატეგორიები ცალკე უნდა აისახოს ან უშუალოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ან შენიშვნებში, გარდა 39-ე პუნქტით დაშვებული შემთხვევებისა. საწარმომ ცალკე უნდა წარადგინოს ნებისმიერი მთლიანი შემოსავალი ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივთან (ან გამსვლელ ჯგუფთან) დაკავშირებით.
39. თუ გამსვლელი ჯგუფი არის ახლად შექმნილი შვილობილი საწარმო, რომელიც პასუხობს შემენისთანავე გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს (იხ. მე-11 პუნქტი), საჭირო არ არის აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი კატეგორიების ახსნა.
40. საწარმო არ მოახდენს წინა პერიოდების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფების აქტივებისა და ვალდებულებების თანხების ხელახალ კლასიფიცირებას ან ხელახალ წარმოდგენას, უკანასკნელი პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კლასიფიკაციის ასახვის მიზნით.

დამატებითი განმარტებები

41. საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია იმ პერიოდში, რომელშიც გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირება ან გაყიდვა მოხდა:
- ა) გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) აღწერა;
 - ბ) გაყიდვის მონაცემებისა და გარემოებების, ან მოსალოდნელ ლიკვიდაციაზე მიმანიშნებელი გარემოებების, აგრეთვე ლიკვიდაციის მოსალოდნელი ვადებისა და ტიპის აღწერა;
 - გ) 20-22-ე პუნქტების მიხედვით აღიარებული შემოსულობა ან ზარალი, ხოლო თუ ეს თანხები არ იქნება ცალკე წარმოდგენილი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მაშინ სრული

შემოსავლის ანგარიშგების იმ პუნქტზე მითითება, რომელიც მოიცავს ამ შემოსულობას ან ზარალს;

- დ) საანგარიშგებო სეგმენტი, რომელშიც წარდგენილია მოცემული გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი) ფასს 8-ის – „საოპერაციო სეგმენტები“ - მიხედვით, თუ ასეთი არსებობს.
42. თუ საწარმო იყენებს 26-ე ან 29-ე პუნქტის დებულებებს, მან იმ პერიოდში, როდესაც გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმის შეცვლის შესახებ მიღებული იყო გადაწყვეტილება, შენიშვნებში უნდა აღწეროს ის ფაქტები და გარემოებები, რამაც ეს გადაწყვეტილება გამოიწვია, ასევე ამ გადაწყვეტილების გავლენა მოცემული ან სხვა წინა წარდგენილი პერიოდის ოპერაციების შედეგებზე.

გარდამავალი დებულებები

43. მოცემული სტანდარტი გავრცელდება გრძელვადიან აქტივებზე (ან გამსვლელ ჯგუფებზე), რომლებიც პასუხობს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, ასევე ოპერაციებზე, რომლებიც პასუხობს შეწყვეტილ ოპერაციად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, ამ სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ. ნებისმიერ საწარმოს შეუძლია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები ყველა გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) მიმართ, რომელიც პასუხობს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმებს და ოპერაციებისათვის, რომლებიც პასუხობს შეწყვეტილ ოპერაციად კლასიფიცირების კრიტერიუმებს ნებისმიერი დღიდან ამ სტანდარტის ძალაში შესვლამდე, იმ პირობით, თუ შეფასებები და სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ამ სტანდარტის გამოყენებისათვის, მოპოვებული იყო იმ დროს, როდესაც ეს კრიტერიუმები პირველად დაკმაყოფილდა.

ძალაში შესვლის თარიღი

44. საწარმო მოცემულ სტანდარტს გამოიყენებს წლიური პერიოდებისათვის, რომელიც იწყება 2005 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. სასურველია უფრო ადრე გამოყენება. თუ საწარმო ამ სტანდარტს გამოიყენებს 2005 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდისათვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 44ა. ბასს 1-მა - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“ (შესწორებული 2007 წელს) განაპირობა ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგიის შეცვლა. გარდა ამისა, გამოიწვია მე-3 და 38-ე პუნქტების შეცვლა და 33(ა) პუნქტის დამატება. საწარმომ აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.
- 44ბ. ბასს 27-მა – „*კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება*“ (შესწორებული 2008 წელს) განაპირობა 33(დ) პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ბასს 27-ს (შესწორებული 2008 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებაც. ეს ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად.
- 44გ. 2008 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „*ფასს სტანდარტების გაუმჯობესება*“ – გათვალისწინებით დაემატა 8(ა) და 36(ა) პუნქტები. საწარმომ აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. დასაშვებია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ამასთან, საწარმომ ეს ცვლილებები არ უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისამდე დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, თუ ამავე დროს არ გამოიყენებს ბასს 27-ს (შესწორებული 2008 წლის იანვარში). თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გამოიყენებს 2009 წლის 1 ივლისამდე დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. საწარმომ ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად იმ თარიღიდან, როდესაც პირველად გამოიყენა ფასს 5, ბასს 27-ის (შესწორებული 2008 წლის იანვარში) 45-ე პუნქტით გათვალისწინებული გარდამავალი დებულებების შესაბამისად.

- 44დ. 2008 წლის ნოემბერში ფასიკ 17-ის – „*არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე*“ – გამოცემის შემდეგ სტანდარტს დაემატა პუნქტები 5ა, 12ა და 15ა და შეიცვალა მე-8 პუნქტი. ეს ცვლილებები საწარმომ უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად ისეთი გრძელვადიანი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფის) მიმართ, რომლებიც კლასიფიცირებულია მესაკუთრეებზე გასანაწილებლად 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებში. ნებადართული არ არის რეტროსპექტიული გამოყენება. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გამოიყენებს იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომლებიც იწყება 2009 წლის 1 ივლისამდე, მან ეს ფაქტი უნდა განმარტოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში და ამავე პერიოდიდან უნდა გამოიყენოს ფასს 3 – „*საწარმოთა გაერთიანება*“ (გადასინჯული 2008 წელს), ბასს 27 (შესწორებული 2008 წლის იანვარში) და ფასიკ 17.
- 44ე. 5ბ პუნქტი სტანდარტს დაემატა 2009 წლის აპრილში გამოცემული დოკუმენტის – „*ფასს სტანდარტების გაუმჯობესება*“ – შესაბამისად. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომლებიც იწყება 2010 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდიდან გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
- 44ვ. [გაუქმებულია]
- 44ზ. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 11-მა – „*ერთობლივი საქმიანობა*“ – გამოიწვია 28-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც გამოიყენებს ფასს 11-ს.
- 44თ. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 13-მა – „*რეალური ღირებულების შეფასება*“ – გამოიწვია „ა“ დანართში მოცემული რეალური ღირებულების განმარტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს.
- 44ი. 2011 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა – „*სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარდგენა*“ (ბასს 1-ში შესატანი ცვლილებები) გამოიწვია 33ა პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 1-ის 2011 წლის ივნისის შესწორებულ ვერსიას.
- 44კ. [გაუქმებულია]
- 44ლ. 2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ გამოიწვია მე-5 პუნქტის შეცვლა და 44ვ და 44კ პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს.
- 44მ. 2014 წლის სექტემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „*ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2012-2014 წლების ციკლი*“ – გამოიწვია 26-29- პუნქტების შეცვლა და 26ა პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად ბასს 8-ის – „*საღირებვო პოლიტიკა, ცვლილებები საღირებვო შეფასებებში და შეცდომები*“ – შესაბამისად, გასვლის მეთოდში განხორციელებულ იმ ცვლილებებთან მიმართებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებში. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდიდან გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
- 44ნ. [ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]

ბასს 35-ის გაუქმება

45. ეს სტანდარტი ცვლის ბასს 35-ს – „*შეწყვეტადი ოპერაციები*.“

დანართი ა

ტერმინების განმარტება

ეს დანართი სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული	აქტივების უმცირესი იდენტიფიცირებადი ჯგუფი, რომელიც წარმოქმნის ფულადი ნაკადების შემოსვლას საწარმოში და დამოკიდებული არაა სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფებიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე.
საწარმოს კომპონენტი	ოპერაციები და ფულადი ნაკადები, რომელთა ნათლად გამიჯვნა ოპერაციულად ან ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, შესაძლებელია საწარმოს სხვა შემადგენელი ნაწილებისაგან.
გაყიდვის დანახარჯები	დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გადაცემასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგებიდან გადასახადის ხარჯის გამოკლებით.
მოკლევადიანი აქტივი	<p>აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) მოსალოდნელია მისი რეალიზაცია, ან გამიზნულია გასაყიდად ან გამოსაყენებლად, საწარმოს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ბ) იგი, უპირველეს ყოვლისა, ინახება გასაყიდად; გ) მისი რეალიზაცია მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან თორმეტი თვის განმავლობაში; დ) ეს არის ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტის აქტივი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი გაყიდვა ან მისი საშუალებით ვალდებულების დაფარვა იზღუდება საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან მინიმუმ თორმეტი თვით.
შეწყვეტილი ოპერაცია	<p>საწარმოს კომპონენტი, რომელიც ან გაიყიდა, ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს; ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან გ) არის გაყიდვის მიზნით შექმნილი შვილობილი საწარმო.
გამსვლელი ჯგუფი	<p>აქტივების ჯგუფი, რომლის დათმობა უნდა მოხდეს გაყიდვის ან სხვა გზით, ერთად, როგორც ჯგუფის, ერთი გარიგებით და ამ აქტივებთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელთა გადაცემა მოხდება ამ გარიგების მეშვეობით. გამსვლელ ჯგუფში შევა საწარმოთა გაერთიანების დროს შექმნილი გუდვილიც, თუ ჯგუფი არის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელსაც ბასს 36-ის – „აქტივების გაუფასურება“ (გადასინჯული 2004 წელს) – 80-87-ე პუნქტების მიხედვით მიეკუთვნა გუდვილი, ან ოპერაცია, ამგვარი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფარგლებში.</p>
რეალური ღირებულება	<p>რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. (იხ ფასს 13)</p>

**ყიდვა-გაყიდვის
მყარი ვალდებულება**

შეთანხმება დამოუკიდებელ მხარეებს შორის, რომელიც სავალდებულოა ორივე მხარისათვის და, როგორც წესი, იურიდიული ძალის მქონეა და (ა) განსაზღვრავს ყველა მნიშვნელოვან პირობას, ფასისა და გარიგების ვადების ჩათვლით; (ბ) მოიცავს შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საჯარო სანქციებს, რაც გარიგების შესრულებას **მაღალი ალბათობით მოსალოდნელს** ხდის.

**მაღალი ალბათობით
მოსალოდნელი**

მოსალოდნელზე გაცილებით უფრო შესაძლებელი.

გრძელვადიანი აქტივი

აქტივი, რომელიც არ პასუხობს **მოკლევადიანი აქტივის** განმარტებას.

მოსალოდნელი

უფრო შესაძლო, ვიდრე არა.

**ანაზღაურებადი
ღირებულება**

აქტივის **გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა** და მისი **გამოყენების ღირებულებას** შორის უდიდესი.

გამოყენების ღირებულება

მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომლის წარმოქმნა მოსალოდნელია აქტივის უწყვეტი გამოყენებიდან და მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისას გაყიდვიდან.

დანართი ბ

დამატებითი ინფორმაცია სტანდარტის გამოყენების შესახებ

ეს დანართი სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.

გაყიდვის დასრულებისათვის საჭირო პერიოდის გაზრდა

- ბ1. როგორც მე-9 პუნქტშია მითითებული, გასაყიდად საჭირო პერიოდის გაზრდა ხელს არ უშლის აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) კლასიფიცირებას, როგორც გასაყიდად გამიზნული, თუ დავიანება გამოწვეულია გარემოებებით ან მოვლენებით, რომლებიც არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს და არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ საწარმო ისევ მიჰყვება აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმას. აქედან გამომდინარე, მე-8 პუნქტში მოცემული ერთი წლის პირობიდან გამონაკლისი შეეხება შემდეგ სიტუაციებს, როდესაც ასეთი გარემოებები ან მოვლენები წარმოიშობა:
- ა) იმ დღეს, როდესაც საწარმო გადაწყვეტილებას იღებს და გეგმავს გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვას, ის რეალურად ელოდება, რომ სხვები (არა მყიდველი) დააწესებენ აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფის) გადაცემასთან დაკავშირებულ პირობებს, რაც გამოიწვევს გაყიდვის დასრულებისათვის საჭირო პერიოდის გაზრდას, და:
 - (i) ამ პირობების შესრულებისათვის საჭირო ქმედება ვერ დაიწყება, სანამ მოპოვებული არ იქნება ყიდვა-გაყიდვის მყარი ვალდებულება; და
 - (ii) ყიდვა-გაყიდვის მყარი ვალდებულების მოპოვება მაღალი ალბათობით არის მოსალოდნელი ერთი წლის განმავლობაში;
 - ბ) საწარმო მოიპოვებს ყიდვა-გაყიდვის მყარ ვალდებულებას და ამის შედეგად, მყიდველი ან სხვები მოულოდნელად დააწესებენ აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გადაცემასთან დაკავშირებულ პირობებს (რომელიც ადრე კლასიფიცირებული იყო, როგორც გასაყიდად გამიზნული), რაც გაყიდვის დასრულების პერიოდს გაზრდის და:
 - (i) ამ პირობების საპასუხოდ მიღებულია დროული ზომები; და
 - (ii) მოსალოდნელია შემაფერხებელი ფაქტორების წარმატებული გადაწყვეტა;
 - გ) პირველი ერთი წლის განმავლობაში წარმოიშვა გარემოებები, რომლებიც ადრე მოულოდნელად იყო მიჩნეული და, ამის შედეგად, გრძელვადიანი აქტივი (ან გამსვლელი ჯგუფი), რომელიც ადრე კლასიფიცირებული იყო, როგორც გასაყიდად გამიზნული, არ გაიყიდა ამ პერიოდის დასასრულს და:
 - (i) პირველი ერთი წლის განმავლობაში საწარმომ ზომები მიიღო ამ გარემოების ცვლილების საპასუხოდ;
 - (ii) წამოწყებულია გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) აქტიურობა ბაზარზე გონივრულ ფასად გასაყიდად, შეცვლილი გარემოს გათვალისწინებით; და
 - (iii) მე-7 და მე-8 პუნქტებში მოცემული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.